ჩემპიონატი

თბილისის „დინამოს“ გამარჯვება

18 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ჩატარებულ მატჩს საკავშირო პირველობაზე **მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“** ფეხბურთელთა სანიმუშო გუნდებს შორის დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

თამაში თბილისელთა ენერგიული შეტევით დაიწყო. მეკარე ფოკინი პირველსავე წუთებიდან ჩაება დაძაბულ ბრძოლაში. მას განსაკუთრებით მოსვენებას არ აძლევდა და სახიფათო მომენტების წინაშე აყენებდა მარჯვენა გარემარბი გავაშელი, მაგრამ უშედეგოდ – თავდამსხმელთა მარცხენა ფრთის არაზუსტი თამაშის შედეგად თბილისელებმა დაკარგეს ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა.

მე–12 წუთიდან მოსკოველები გადადიან კონტრშეტევაზე, იერიშების გაძლიერების მიზნით თავდამსხმელთა რიგებს შეემატა ორი ძლიერი მოთამაშე – ელისეევი და ჩერნიშევი. სტუმრების თამაში მუდამ სწრაფი და ზუსტი იყო, მხოლოდ გადამწყვეტ მომენტში დაბნეულობასა და კარში დარტყმის სისუსტეს ამჟღავნებდნენ.

მდგომარეობა ანგარიშის მხრივ მე–20 წუთამდის არ შეცვლილა. ნახევარდაცვიდან მიღებული ბურთი იშვიათი ოსტატობით გამოიყენა გავაშელმა. მან მოატყუა სამი დამცველი, მეკარე ფოკინიც კი და ზუსტად გაიტანა გადამწყვეტი ბურთი.

მეორე ტაიმში სტუმრები გააქტიურდნენ. თამაში მეტწილად თბილისელთა საჯარიმო მოედანზე მიმდინარეობდა. კარში ძლიერ დარტყმას ძლიერი დარტყმა მოსდევს, მაგრამ მეკარე ტყებუჩავამ ისახელა თავი, მან იხსნა თავისი გუნდი სამი „მკვდარი“ ბურთისაგან.

თბილისის თავდამსხმელებმა ამ მატჩში დაუშვეს ტაქტიკური შეცდომა, ნაცვლად იმისა, რომ მათ ეთამაშათ მარჯვენა ფრთიდან – დაყრდნობოდნენ გავაშელს, რომელიც თავისუფლად გადიოდა მოსკოველ დამცველებში და ვირტუოზულად თამაშობდა, რატომღაც მარცხენა ფრთიდან დაიწყეს შეტევა. ამის გამო მეორე ტაიმში მათ ვერაფერი ვერ გააკეთეს.

მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ, ანგარიშით – 1:0.

თბილისის დინამოელებიდან თამაშის მაღალი კლასი გამოამჟღავნეს გავაშელმა, ტყებუჩავამ, ფროლოვმა და გაგუამ.

ვ. გ.–ლია.
„ახალგაზრდა კომუნისტი“, 20 მაისი, 1940 წ.